# ჩვენი გზა

№ 25

თფილისი

1907

პარასკევი, 5 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 25 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 25



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

აშით „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

● ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა ●

„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ გამგეობა შეუდგა

## ილია ჭავჭავაძის

**თხზულებათა გამოცემას სახალხოთ.**

ყოველი თხზულება დაიბეჭდება ცალ-ცალკე წიგნაკათ ნახატებით და ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკაში მოთავსდება:

1. რჩეული ლექსები.
2. კაკო ყაჩაღი.
3. რა გაკეთეთ, რას ვშვრებოდით?—ბედნიერი ერი.
4. ახრჩილი.
5. დედა და შვილი.
6. განდეგილი.
7. დიმიტრი თავდადებული.
8. კაცია ადამიანი?!
9. გლახის ნაამბობი.
10. ოთარაანთ ქვრივი.
11. მგზავრის წერილები.
12. გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები.
13. სარჩობელაზე.
14. ნიკოლოზ გოსტაშვილი.

შემდეგში დაიბეჭდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. (3—უ—3)

თფილისში გამოვა ახალი ყოველკვირეული იუმორისტულ-კარიკატურებიანი ჟურნალი

## „ეკალი“

ჟურნალში მოთავსებული იქნება სურათები და მოკლე ბიოგრაფიები გამოჩენილ მწერალთა, მოღვაწეთა და თავისუფლებისათვის თავდადებულთა. ლექსები და პოემები, სახუმარო და სერიოზული. მოთხრობები და სურათები ახლო წარსულიდან და სხვა....

**ხელის მოწერა და აგრეთვე დასაბეჭდი მასალა მიიღება შემდეგი ადრესით:** Тифлисъ, Редакція „Экали“ ПЛАТОНУ ГЕДЕВАНОВИЧУ ГАЧЕЧИЛАДЗ

**თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი გონორარი.**

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ექიმი

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

**გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.** (10—9)

**კბილის ექიმი**

**სამსონ ვაშაყმაძე**

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკის სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

**აგენტების საყურადღებოთ. ალექსანდრე ლანდი** უკანასკნელათ სთხოვს მათ, ვისაც გასაყიდათ ქონდა წიგნები „ჯაშუში“ წაღებული, რომ შაბათს, 6 ოქტომბრამდის უეჭველათ გაასწორონ ანგარიში და დარჩენილი წიგნები საჩქაროთ უკან დააბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება, რომ კვირას ყველანი გაზეთში გამოაცხადოს და ამ გზით მაინც განთავისუფლოს თავი ავტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. (3—3)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს და წრთვნის მოწაფეებს ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

**ადრესი:** უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

**ვკისრულობ** ქართულ ხელნაწერების სტილისტიურათ გასწორებას, როგორც ნათარგმნის, ისე ორიგინალურის. ვეძებ კორექტორობას. შრომის ფასი მორიგებით.

**ნარკანი.**

ჩემი ადრესი: რედაქცია „ჩვენი გზა“-ნარკანი. (3—3)

## ისყიდება

ახალი მოდის ტანისამოსის **შკაფი** და კაკლის **ბუფეტის შკაფი.**

აქვე მიიღება შესაკვეთათ ყოველნაირი **სასტოლიარო საქმეები.**

ადრესი: Лабораторный пер., № 2, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის ზემოთ.

სახელოსნოს პატრონი **გ. ედილაშვილი.** (5—6.—5)


## მეტი სინათლე!

„კარგ მთქმელს, კარგი გამგონეც უნდა“.
ხალხური.

### I

„სოციალდემოკრატია რომ პლეხანოვის თვალთა ხედვის წერტილზე მდგარიყო და თვით პლეხანოვი რომ ბოლომდის სისწორით რჩებოდეს თავისს თვალთა ხედვის წერტილზე, მაშინ შეგვეძლო ჩვენ ერთმანეთის მტრები არ ვყოფილიყავით“ („რეჩი“, № 229). ასე აცხადებს კადეტების ლიდერი მილიუკოვი, რომელიც ეხლა უკვე ხმა-მაღლა, აშკარათ და საქვეყნოთ ლაღადებს, რომ მემარცხენეთა ბანაკში მარტო ოქტომბრისტების მტერთ არ დაუბუდნიათ, იქ კადეტებისთვინაც „მრავალ არიან, უფალო, მტერნი“; კადეტების მტრები არიან „ის ჭრელი და მრავალგვარი ჯგუფები სოციალ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა, რომლებსაც აერთებს საზოგადო რუბრიკა რუსეთის სოციალიზმისა. ამათ არ უნდა იუცხოვონ, რომ ჩვენ მათ მტრებათ ვაცხადებთ—იბოდიშება მილიუკოვი—რადგან თვითონ იგინი, რომელნიც მუდამ ერთმანეთში კინკლაობდენ და ხშირათ ცხარეთაც ომობენ ამა თუ იმ საკითხის შესახებ, თვით იგინი უმალვე ერიდებიან, მათი წრის თვით მოსისხლე მტრები უმალვე ბლოკს ადგენ, „როცა კი საქმე ეხება „საერთო მტრის“ წინააღმდეგ გალაშქრებას და ეს „საერთო მტერია“ კადეტი. სხვა „საერთო მტერს“ რუსეთის სოციალისტები ვერა ხედავენ, მათ ბედისწერასავით თვალებზე ეფარებათ ჰიპერტროფიული (დამახინჯებული) ეკონომიური და სოციალური დოქტრინა (მოძღვრება)“ (№ 226). და ამის შემდეგ რაღა საკვირველიაო — დაასკვნის ცნობილი ბურჟუა—თუ კადეტების პარტია მტრათ აცხადებს რუსეთის სოციალიზმს, რომლის უმთავრესი და ძლიერი წარმომადგენელია სოციალდემოკრატია; ხოლო რაც შეეხება „თვით პლეხანოვს, იგი ჩვენი მტერი კი არა მეგობარია, თუმცა ვშიშობთ, რომ ასეთი დასკვნის წინააღმდეგ პროტესტს გამოაცხადებს,—და აკი აცხადებს კიდეც პროტესტს, თვით ბ-ნი პლეხანოვი“ (iqid). საჭირო არის სისწორით და ნათლათ გავარკვიოთ რაშია საქმე?

იმ გარემოებას, თუ კადეტები ვის დასახავენ მტრათ და ვის მოყვარეთ, ანუ რასა და რა კილოზე სწერენ თავის თავზე და სხვებზე, ყველა ამას **თავის** თავათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სოც.-დემოკრატიის სხვა პარტიებთან ურთიერთობას სარჩულათ ვერ დაედება სიტყვები და ფრაზები ანუ ამა თუ იმ გრძნობათა გამოცხადება; მისი ურთიერთობა და ტაქტიკა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიისადმი დამყარებულია იმაზე თუ ნამდვილათ რას აკეთებს, როგორ მოქმედობს ეს პარტია, რა სოციალ-პოლიტიკური შინაარსის მატარებელია იგი, ვის, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებს ანუ კლასს წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს ამ კლასს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში; როგორია ამ კლასის პოზიცია ძველი წესწყობილებისადმი, რომლის გარშემო ტრიალებს დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური მოძრაობა?

აი, თუ ამ მხრივ შევხედავთ კადეტების პარტიას, დავრწმუნდებით, რომ ისინი დღეს შეადგენენ საგრძნობელ ოპოზიციონურ და პროგრესიულ ძალას და რაც უნდა ჩამოქვეითდეს და გათახსირდეს კადეტების ტაქტიკა, ისინი ცოცხალის თავით ძველ რეჟიმს მაინც ვერ შეურიგდებიან. აი მაგ. თვით მემარჯვენე კადეტების ლიდერი მაკლაკოვი, რომელიც იუწყება, რომ „რევოლიუციის დრო გათავდაო“, გვეუბნება: „უკეთუ დუმა გადაიქცევა რეაქციის და არა ალორძინების საყრდნობათ, **მაშინ იმედი მშვიდობიანის გზით ხსნისათვის დაკარგული იქნებოდა**... მაშინ პროგრესიულ უმცირესობას ის ღა დარჩებოდა, რომ წასულიყო დუმიდან და სხვა გზები მოენახა სამუშაოთ“. ეს სტრიქონები აშკარათ მოწმობენ, რომ ისტორიულ ბედის წერამ ლიბერალური ბურჟუაზია მჭიდროთ დაუკავშირა რევოლიუციას. ცხადია, მაშასადამე, რომ სოციალდემოკრატია კადეტებთან ერთხელ და საბოლოოთ ვერ გასწყვეტავს ყოველსავე ურთიერთობას და დღევანდელ პოლიტიკურ ბრძოლის „სიმძიმის ცენტრს“ ძველი რეჟიმიდან კადეტებზე ვერ გადიტანდა, როგორც ამას ჰყვირიან ბოლშევიკები. პირიქით, მუშათა პარტიამ მხნეთ და ენერგიულათ მხარი უნდა დაუჭიროს კადეტების პარტიას, და საზოგადოთ, მთელ ოპოზიციას, ყოველთვის, როცა იგი იბრძვის ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან „ლიბერალურ ბურჟუაზიის გამარჯვება ძველ წეს-წყობილებაზე აახლოვებს პროლეტარიატის საკუთარ გამარჯვებას ლიბერალურ ბურჟუაზიაზე“ (პლეხანოვი). ამიტომ შეგნებული პროლეტარიატი არამც თუ ვერ გაყვებოდა ბოლშევიკების ტაქტიკას კადეტებისადმი, პირიქით, „იგი (პროლეტარიატი), როგორც საშინელ შეცდომას და დიდათ სამარცხვინო საქმეს, უნდა ერიდებოდეს ყოველსავე იმ გვარ ნაბიჯს, რომელიც დაასუსტებდა ლიბერალურ ბურჟუაზიის პოზიციებს ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (პლეხ.).

ბ-ნი მილიუკოვი ალტაცებული იწერს პლეხანოვის აქ მოყვანილ სტრიქონებს, ის მის ავტორს კადეტების მეგობრათ აცხადებს, რადგან, ჩვენ სოც.-ფედერალისტებთან ერთათ, დარწმუნებულია, რომ პლეხანოვის თვალთახედვის წერტილიდან „ბრძოლა კადეტების წინააღმდეგ? ეს ხომ სისულელე იქნებოდა?“ („ისარი“) მილიუკოვი მხოლოდ სწუხს და განცვიფრებულია იმის გამო, რომ თვით პლეხანოვი პროტესტს აცხადებს კადეტებთან მეგობრობაზე და, ასე გასინჯეთ, რჩევას იძლევა, რომ ხალხმა დუმაში გასაგზავნათ აარჩიოს ხოლმე სოციალდემოკრატები და არა კადეტები. ბ-ნი მილიუკოვი, ისე როგორც ჩვენი სოც.-ფედერალისტები, დარწმუნებულია, რომ სოციალისტებს ეხლა დუმაში არაფერი საქმე არ ექნებათ და მაშ, სადეპუტატოთ სოციალდემოკრატს „უბრალო პროგრესისტი“ უნდა ერჩიოთ თვითონ სოციალისტებსაც. კადეტებსა და ს.-ფედერალისტებს ერთი და იგივე ლიბრი აქვთ თვალზე გადაკრული—ეს არის ბურჟუაზიული იდეოლოგია. მილიუკოვებიც და სოც.-ფედერალისტებიც ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესებს იცავენ და ამიტომაც მათთვის დიდი ამოცანაა იმის გაგება, თუ რატომ არის რომ სოციალდემოკრატია მხარს უჭერს ლიბერალურ ბურჟუაზიას და ამავე დროს მტრათაც აღიარებს და მასთან ბრძოლასაც აწარმოებს. ამ „საიდუმლოების“ გასაღებია სწორეთ ის, რასაც ბ-ნიმ მილიუკოვი უწოდებს „ეკონომიურ და სოციალისტურ დამახინჯებულ დოქტრინას“ და რაიც ნამდვილათ იდეიური ღერძია მთელ თანამედროვე კაცობრიობის ძლევა-მოსილ წინმსვლელობა განვითარებისა...

## მაროკოს საქმე

(წერილები პარიზიდან)

საითკენაც არ გაიხედავთ, კაპიტალისტურათ განვითარებულ სახელმწიფოებში, იმპერიალიზმს უპირატესი ალაგი უჭირავს. თანამედროვე იმპერიალიზმი სულაც არ წააგავს ძველებურ დინასტიურ მისწრაფებას, რომელსაც რომელიმე გვირგვინოსანი ან იმპერატორი უდგას სათავეში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან წოდებრივ ძალმომრეობაზე დაფუძნებული იმპერია დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას. ახლანდელი იმპერიალიზმი აგებულია „თავისუფლებაზე, თანასწორობაზე და ძმობაზე“ და მისი მებაირაღტრეა კაპიტალისტ-ბანკირების მთელი კლასი. როგორც ძველებური მილიტარიზმი დღევანდელთან შედარებით უსუსურობას წარმოადგენს, ისე ძველებური იმპერიალიზმი დღევანდელთან შედარებით სასაცილო რამაა. და ძირითადი განსხვავება მდგომარეობს არა იმაში, ვითომ წინეთ ან ახლა ერის დიდ უმრავლესობას ყვლეფა და დარბევა აკლდა—ამ მხრივ ძლიერთა შორის „სოლიდარობა“ დასაბამიდან ვიდრე აქამომდე საქვეყნოთ ცნობილია,—არამედ ძველის და ახლის რაოდენობით და თვისებით განვითარებაში.

საფრანგეთის დღევანდელი მესამე რესპუბლიკა, რასაკვირველია, არ წარმოადგენს გამონაკლის. პირიქით, იგი რამდენათმე მოგვაგონებს „ვაჭარ-მეფის“ ლუი ფილიპეს ეპოქას მე-40-ცე წლებში. როგორც მაშინ, ისე ახლაც მსხვილი ბანკირები და კაპიტალისტები გამხდარან საფრანგეთის ბატონ-პატრონნი. ისტორიის ირონია სწორეთ ის არის, რომ ამ ვეებერთელა მგლებს სათავეში პატარა ტურები, წვრილი და გაცვეთილი ბურჟუები უდგანან: კლემანსო და ექს-სოციალისტები ბრიანი და ვივიანი.

ყველას კარგათ ახსოვს შარშანდელი კონფლიქტი საფრანგეთსა და გერმანიის შორის მაროკოს შესახებ, რომელმაც, ერთი ბეწო დააკლდა, კინაღამ საშინელი სისხლის-ღვრა გამოიწვია. საფრანგეთის მაშინდელი გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე გერმანიის მალულათ ლამობდა მაროკოს საფრანგეთისათვის მისაკუთრებას, რასაკვირველია, მსხვილი კაპიტალის სახრავათ და ერის ხარჯით. ეს საიდუმლოება თავის დროზე გამოამჟღავნა საქვეყნოთ ჟორესის გაზეთმა „ჰუმანიტემ“, რასაც მედგარი შეტაკება მოყვა პარლამენტში სოციალისტებს და მთავრობას შორის. შედეგი ის იყო, რომ დელკასე იძულებული შეიქნა სამსახურიდან გასულიყო და ახალმა კაბინეტმა იკისრა მისგან წახდენილ საქმის გამოკეთება. როგორც ვიცით, გერმანიის მთავრობამ, გაგულიანებულმა საფრანგეთის მოკავშირე რუსეთის დამარცხებით შორეულ აღმოსავლეთში, აყვა ადგილობრივ მსხვილ კაპიტალის მოწოდებას და დიდი რახა-რუხით მოითხოვა საერთაშორისო კონფერენცია მაროკოს კითხვის „სამართლიანათ“ გადასაწყვეტათ. სამართალი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა სახელმწიფოთა მგლებს თანასწორათ უნდა რგებოდათ მაროკოს ავლა-დიდების ძიძგნა.

ბევრი დიპლომატიურ ჩურჩულის შემდეგ მოხდა შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიას შორის და დაინიშნა კიდეც კონფერენცია ალჟესირასში. ამ უკანასკნელზე გერმანიის მთავრობის ბაქიობამ ჩაილურის წყალი მიირთვა, რადგან რუსეთის ბიურო-კამარილა სესხის მოლოდინში აშკარათ საფრანგეთს მიუდგა, აგრეთვე ინგლისი, იტალია და ისპანია. ალჟესირასის ხელშეკრულობა აღიარებს, სხვათა შორის, საფრანგეთის ეკონომიურ პოლიტიკურ ინტერესების უპირატესობას მაროკოში და ამიტომ ჰანდობს მას ისპანიასთან ერთათ მაროკოს რამდენიმე ნავთსადგურებში პოლიციის მოწყობას „ევროპიელების დასაცველათ“. მართალია საფრანგეთის სოვდაგრებმა ვერ შეასრულეს თავიანთი განზრახვა, მაგრამ პოლიციის მოთაობა მათ აიმედებდა, რომ ოდესმე ისინი შეძლებდენ მაროკოს თავიანთ ახალშენათ ქცევას.

მაროკოს სულთანი და მისი დამქაშნი თავიდანვე გულგრილათ უცქეროდენ ევროპიელების მათ სამშობლოში თარეშს.

პირიქით, ისინი გ მოელოდენ აქედან მოგებას, რადგან ევროპიელი ბანკირები მხოლოდ იმ პირობით გაბედავდენ მაროკოს გაღატაკებულ მთავრობისათვის ფულის სესხებას, თუ ადგილობრივ პიროვნება და საკუთრება დაცული იქნებოდა. რაც შეეხება თვით მაროკოს მცხოვრებთ, რვა მილიონზე მეტ სულს, ისინი ჯერ კიდევ კულტურის დაბალ საფეხურზე დგანან და სახელმწიფო ინტერესებზე თავს არ იცხელებენ. საზოგადოთ ისინი უნდობლათ უცქერიან ევროპიელებს, და როგორც მაჰმადიანებს, კიდეც ეჯავრებათ მათ უკანასკნელნი.

გავიდა სრული ერთი წელი და საქმე თითქო სამუდამოთ მიყუჩდა. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ალჟესირასის კონფერენციას ავის მეტი სიკეთე არ გაუკეთებია. სანამ დიპლომატები ისხდენ და ლაყბობდენ, ხალხი არ აქცევდა მათ ყურადღებას, მაგრამ, როცა საფრანგეთი და ისპანია პოლიციის მოწყობას შეუდგენ და არხეინათ იწყეს არამკითხობა, მაშინ ხალხმა ინსტინქტიურათ იგრძნო, რაც მოელოდა მის სამშობლოს. დაიბადა მათში ძლიერი სურვილი მოსულ უცხოელების გარეკისა; მათმა სარწმუნოებამ უფრო აღაგზნო და გააფანატიკოსა ეს სურვილი; გასულ აგვისტოში კიდეც ამოყო თავი ამბოხებამ ადგილ-ადგილ, რასაც ევროპელებმა მაშინვე მაჰმადიანების ქრისტიანებზე „წმინდა გამოლაშქრება“ უწოდეს.

პირველათ მაროკოს ერთ უმთავრეს სავაჭრო ქალაქში კაზაბლანკაში მოხდა მკვლელობა 7 თუ 8 ფრანგისა ესპანელისა ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ეს მოვლენა მაშინვე ხელზე დაიხვია საფრანგეთის მსხვილმა ბურჟუაზიამ და მისმა მორჩილმა მთავრობამ გააგზავნა ფიცხლავ სამხედრო ხომალდები და ჯარი მაროკოს ნაპირებისკენ „ჯავრის საყრელათ“. ისპანელებიც მიყვნენ ფრანგებს და ჩქარა წაესიენ კაზაბლანკას. შედეგი ის იყო, რომ ქალაქი თითქმის ნანგრევათ აქციეს ზარბაზნებით, ადამიანთა მსხვერპლი აუარებელია, ქალი, ბალღი და მოხუცი მრავალი იმსხვერპლა „განათლებულ ევროპიელების“ ბარბაროსობამ. მკითხველმა უკვე იცის დეპეშებიდან და ყოველ დღე ტყობილობს მაროკოს ამბებს. ჩემ განზრახვაში არ შედის მათი ჩამოთვლა. ფრანგების ასეთმა უტიფრობამ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და რამდენიმე პროვინციებში მოროკოელებმა იარაღი შეისხეს მოსეულების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ევროპის ვაწაფულ ჯარს და შეიარაღებას ისინი ვერ გაუმაგრდენ და ასოთი გახდენ ტყვის მსხვერპლი. ბევრმა მათგანმა კიდეც იგრძნეს თავიანთი უძლურება და მოლაპარაკება გ მართეს საფრანგეთის გენერალთან შერიგებაზე. ამ დროებით ბრძოლა შეწყვეტილია და იმედოვნებენ მის მთლიათ მოსპობას. მაროკოში ამ ჟამათ დათარეშობს ერთის მაგიერ ორი სულთანი. ხალხი დაყოფილია და არავინ იცის მისი განზრახვა მომავალში.

ყოველ შემთხვევაში ცხადზე უცხადესია, რომ საფრანგეთისთვის შეუძლებელს არ შეადგენს მაროკოს დაპყრობა და მისი მსხვილი ბურჟუაზიაც ცხადათ თუ მალულათ ამას თხოულობს. საფრანგეთის პროლეტარიატი სრულებით არაა დაინტერესებული ამ მხეცურ ავანტიურაში და მისი შეგნებული ნაწილი მედგრათ თხოულობს ომის შეწყვეტას და მაროკოს ხელუხლებლობას. ჟორესმა მოითხოვა გაერთიანებულ სოციალისტების სახელით პარლამენტის დაუყონებლივ მოწვევა მთავრობისაგან. ბურჟუაზიული პრესა აღშფოთებით შეხვდა ამ წინადადებას. აი, რა დღეს მიესწრო საფრანგეთი! მთავრობა თვითნებურათ ეწევა ომს ხალხის ხარჯით და მის წარმომადგენელთ ჩირადაც არ აგდებს. კლემანსო, ოდესმე დემოკრატიის და რესპუბლიკის მხურვალე დამცველი, გამხდარა დღეს დიქტატორათ! საფრანგეთმა შედგა უეჭველათ ფეხი ახალ პოლიტიკურ ხანაში, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

აკ. ჩხ.

## ახალი ამბები

**არჩევნების გამო.** როგორც ვიცით, რუსთა კურიაში უნდა მოხდეს, თუ ახლათ არა, ხელმეორე არჩევნები მაინც აუცილებლივ. სოც.-დემოკრატების კანდიდატები იგივეა რაც პირველ არჩევნების დროს იყო: სტეფანე ნიკოლოზის ძე ავალკოვი, იაკობ თედორის ძე ბოროდინი, ანდრია გერასიმეს ძე კრეტინინი, ვასილ ივანის ძე რუდაკოვი, ივანე პავლეს ძე სალოდოვნიკოვი; პორფირე კირილეს ძე ფედოროვი; ოტტო ანტონის ძე ანპინი, პეტრე მიტროფანის ძე კონოვალოვი, იოსებ დიმიტრის ძე მაკედონსკი, ივანე ტიმოთეს ძე სტრელკოვი და საველი იაკობის ძე ტომილინი.

✦ **კონფერენციის დამთავრება.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში დასრულებულა ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია.

✦ **ლექციები უმაღლეს კურსებზე.** 3 ოქტომბერს უმაღლეს კურსებზე მეორე ვაჟთა გიმნაზიაში დანიშნული იყო ორი ლექცია. პირველი—„განახლების ეპოქა“, რომელიც უნდა წაეკითხა გეხტმანს, არ შესდგა ლექტორის მოუსვლელობის გამო. მეორე ლექცია „პოლიტიკურ ეკონომიაზე“ წაიკითხა ბუგუშევიჩმა; უნდა შევნიშნოთ, რომ ლექტორმა ვერ მოახდინა სასურველი შთაბეჭდილება მსმენელებზე, რაიც იმაში გამოიხატა, რომ უმეტესობას ეძინებოდა.

შემდეგ ლექციას იმავე ალაგას, შაბათს, 6 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე წაიკითხავენ: ა. ი. ხატისოვი და არცრუნი, პირველი „უმთავრესი კითხვები ფიზიოლოგიისა და ჰიგიენისა“, მეორე—სისხლის სამართალზე: „შედარებითი განხილვა სხვა და სხვა სისტემის სასჯელებისა ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ამერიკაში და რუსეთში“.

✦ **ქართული წარმოდგენები.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია წარმოდგენების მართვა დაიწყოს 12 ოქტომბრიდან. 1-ლი წარმოდგენა იქნება არტისტიულ საზოგადოების თეატრში 12 ოქტომბერს, წარმოადგენენ თავ. ილია გ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“, გადაკეთებულს დრამათ, სცენებს მომრიგებელ მოსამართლესთან და წაიკითხავენ ი. ჭ. საუკეთესო ლექსებს.

✦ **პანაშვიდი.** 9 ოქტომბერს ქვაშვეთის და მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ი. გ. ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ; ეს დღე იქნება მეორმოცე—გარდაცვალების დღიდან.

✦ **ვაჭრების კრების შესახებ.** 3 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოწვეული საზოგადო კრება თფილისის სასტუმროების, რესტორან-ბუფეტების, ტრაქტირების და სხვა საჭმელ-სასმელ სავაჭრო დაწესებულებათა პატრონების ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წევრებისა არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. საზოგადოებას ყავს 252 წევრი, აქედან კრებაზე მხოლოდ 100 ნაკლები გამოცხადდა, რისთვისაც კრება გადაიდვა 14 ოქტომბრისათვის; ადგილი და დრო ამ კრებისა გამოცხადებულ იქნება წევრების საყურადღებოთ გაზეთებში საზოგადოების გამგეობის მიერ. განსახილველი საგნებია: 1) ერთი წლის ანგარიში, რომელიც გამგეობამ უნდა ჩააბაროს კრებას; 2) ახალი გამგეობის და სხვა კომისიების არჩევა თავისი კანდიდატებით; 3) კითხვა სავაჭრო გადასახადების შეცოტავების შესახებ; 4) ურთიერთ დამხმარე კასის დაარსება და მრავალი სხვა კითხვები, რომლებიც შეიცავენ ინტერესს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრებისას.

✦ **ქ. გამგეობის დადგენილება.** ქალაქის გამგეობას 2 ოქტომბრის სხდომაზე განუხილავს ხელმეორეთ კითხვა ექიმ ვართანოვის შესახებ. გამგეობას დაუდგენია ვართანოვი სამსახურში აღარ ირიცხებოდეს 1 ოქტომბრიდან, რადგანაც მან დადგენილებისამებრ არ შემოიტანა თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. როგორც გადმოგვცეს, ვართანოვი აპირებს გამგეობის დადგენილება გაასაჩივროს ახალ საბჭოში.

✦ **დაპატიმრება.** 3 ოქტომბერს დილის 11 ს. ელისაბედის და ბათუმის ქუჩის კუთხეში სოსინის სადებავ ქარხანაში შესულან სამი უცნობი და წინადადება მიუციათ მითვის ეყიდნა სადებავი მელანი. სოსინს თანხმობა განუცხადებია და მოუთხოვნია ნიმუშის მოტანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სამთან ერთათ მოსულან 3-ნი სხვა უცნობები და სოსინის თვით კარები დაურახუნებიათ. ამ დროს პოლიცია გაჩენილა და შეუპყრია უცნობები: გიორგი გოგობერიძე, ალექსი ცახურიძე, ნესტორ კვაჭანტირაძე, ნიკოლოზ უდიაძე, სიმონა ოტიაშვილი და ივანე ბურჭულე.

✦ **თფილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** თიანეთის მაზრის სოფ. ხოშარის მცხოვრები პატარა ტეტიოშვილი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა ციხეში 3 თვით.—სიღნაღის მაზრის სოფ. ვეჯინის მცხოვრებთ: ლევან ზავარაშვილის და ლევან სვიმონიშვილს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირთ, აეკრძალათ თფ. გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე.—ახალციხის მცხოვრები: აკ. ხუსნიანცი და არტემ ვართანოვი პოლიციის მოხელეთა შეურაცყოფისათვის სამსახურის აღსრულების დროს დაპატიმრებულ იქნენ ციხეში ჯდომით თითო სამი თვით.

✦ თფილისის პოლიცმეისტერმა ყველა ბოქაულებს უაუგზავნა შემდეგი შინაარსის განკარგულება: 1) ეძლევათ ორი კვირის ვადა, ყველა სასტუმროების პატრონთ განსაკუთრებითი სისუფთავე იქონიონ სასტუმროებში; სუფთათ შეინახონ საწოლი კრაოტები, მისი თეთრეული, სამოვარი და ჭურჭელი, სამზარეულოებში; 2) კარზე ჩამოსარეკი ზარი მოშლილი არ იყოს, საჭირო ადგილებში ხდებოდეს დეზინფექცია, 3) მოსამსახურეებს ქონდეთ საკუთარი საწოლი ბინა; 4) სასტუმროებში იდებდენ ნამდვილ მგზავრებს და არა უპასპორტო გამვლელ-გამომვლელთ, 5) სადრესტო წიგნი წესიერათ ქონდეთ ნაწარმოები. ქვეყნად ამ ბრძანებამ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება შესრულებულ იქნეს, რადგან ორი კვირის შემდეგ თვით პოლიცმეისტერი ინახულებს ზემოხსენებულ სასტუმროებს, რამდენათ სისრულეში იქნება მოყვანილი მისი განკარგულება.

✦ 3 ოქტომბერს დილის 7 საათზე პუშკინის ქუჩასთან აუყვანიათ ცოცხალ-მკვდარი თფილისის მაზრის მცხოვრები ალექსი ცეტურაშვილი, რომელიც მიხაილოვის საავადმყოფოში წაყვანის დროს გზაზე გარდაცვლილა.

✦ 2 ოქტომბერს საღამოს 11 ს. № 8 სახლთან მეორე პარალელურ ქუჩაზე ალექსანდროპოლის მცხოვრებს პელაგია ვიგონაიას დაუდევია კარბოლის სიმჟავე, საავადმყოფოში მიყვანისას გარდაცვლილა.

✦ 3 ოქტომბერს საღამოს 5 ს. ვაგზლის ქუჩაზე თელავის მცხოვრებ აკოფ ალიხანოვის სახელოსნოში შესულან სამი უცნობი და მუქარით მოუთხოვნიათ მისთვის 20 მან. ალიხანოვს მიუცია მათთვის 5 მ. როდესაც მძარცველები გზას გასდგომიან, პოლიციას ერთი მათგანი სერგო აბულოვი შეუპყრია.

✦ 3 ოქტომბერს დღის 1-ლ ს. რიყის ქუჩაზე ვასილ პარტნოის წისქვილიდან მტკვარში გადავარდნილა თფილისის მცხოვრები ივან ეზოვი, დახრჩობისაგან გადაურჩენიათ.

✦ 3 ოქტომბერს საღამოს 8 ს. მუშევის ქუჩაზე ზაალოვის შენობაში თარხან-მოურავის ბინაზე შეცვივნულან სამი უცნობი შეიარაღებული გაძარცვათ, რადგანაც მოსამსახურეს მოუსწრია კარზე გამოვარდნილა და დაუყვირია, მძარცველები გაქცეულან პოლიციას შეუპყრია ერთი მათგანი რაჭის მაზრის მცხოვრები სერგო ბოჩარაშვილი.

✦ პირველ ოქტომბერს, საღამოს 5 ს., მატარებლების ვარჯიშობის დროს ვაგონების გადამბმელმა ნაზარ კორილეჩუკს 34 წლისას, მუშაობის დროს დაუშავებია მარცხენა მკლავი, დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში წაუყვანიათ დახმარების აღმოსაჩენათ.

✦ 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, 565 ვერსის მანძილზე აუყვანიათ უგრძნობელი გვამი ერთი მუშისა მეათე უბნის 74 „ოკოლოდკის“ დორობინსკი 25 წლისა, როდესაც გვამი საავადმყოფოში გადაუტანიათ, იქ გარდაცვლილა.

## საარჩევნო კამპანია.

**ჩვენში.**

**თელავი.** არჩევნებმა თელავში მეტად უფერულათ ჩაიარა. პირველ და მეორე დუმის შედეგებით გულ-აცრუებული ხალხი ძლიერ გულ-გრილათ ეკიდებოდა არ-

---

## ჯომში

**დრამა 4 მოქმედებათ.**

(გაგრძელება, იხ. „ჩვენი გზა“ № 23).

მოქმედება მეორე.

(სცენა წარმოადგენს უბრალოთ მორთულ ოთახს. კედლებზე კიდია მარქსის, ენგელსის და ლასალის სურათები. ერთ კუთხეში დივანია. მოქმედება სწარმოებს ექიმ ვახტანგის სახლში. სონა გაზეთსა კითხულობს).

**სონა.** საცარი გაიხედავ, ყოველგან გაფიცვები იმართება, მუშა ხალხის ზრდამ დღეს უკვე იმ წერტილს მიაღწია, როცა არსებულ წყობილებაში მას სუნთქვა აღარ შეუძლია და ამიტომ სისხლის დაღვრა დღითი-დღე აუცილებელი ხდება. თითქო რაღაც ბოროტ განგებას ცხოვრება ისე მოუწყვია, რომ ის უსისხლოთ კანს ვერ გამოიცვლის. მაგრამ როცა წარმოვიდგენ ხოცვას, ჟლეტას, მთელ ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე და მზათ ვარ დავიძახო: არ მინდა არაფერი, ოღონ დანთხეულ სისხლს ნუ დამანახვებთ-მეთქი; თან კი რკინის ჩაქუჩით თავში მირაკუნებს რაღაც ძალა: სისხლი აუცილებელიაო. (რამდენიმე ხანს კიდევ კითხულობს) რა კარგი იქნებოდა, ცხოვრება ისე იყოს მოწყობილი, რომ პროგრესი სისხლით არ იკვებებოდეს! ეჰ! ბევრი რამ არის კარგი, მაგრამ ცხოვრებაში არ არის; მხოლოთ ბრძოლა, მხოლოთ სისხლი! (ჩაფიქრდება, შემოდის ვახტანგი, ქუდს მოიხდის, თმას გაისწორებს, სონა წამოდგება) როგორ არის? ხომ არის იმედი მორჩენისა?

**ვახტანგი** (მოწყენილი). ლარავითარი აზრი აღარ აქვს, გული ძლივს-ღა მუშაობს.

**სონა.** რისთვის მოკლეს, რისთვის? ლასა და ილიკო რაღას შვრებიან?

**ვახტანგი.** ისინი დღეს წამოდგენ, მათი ჭრილობები საშიში არ იყო.

**სონა.** მე მაინც ვერ წარმომიდგენია, ვახტანგ, თუ მაგათ მიზეზი არ მისცეს, როგორ გაიმეტებდა ის სამივეს სასიკვდილოთ?

**ვახტანგი.** ეჰ, სონა! შენ არ იცნობ გიორგის, ეს მხეცია, ნამდვილი მხეცი, დესპოტი და ამასთან ბურჟუა, რომელიც თავის მუშებს ისე უყურებს, როგორც ძველი რომაელი პატრიციოსი თავის მონებს. მას წინდაწინვე განზრახული ქონდა თავისი საზიზღარი საქციელი, თორემ პოლიციელებს რათ დამალავდა სახლში?

**სონა.** მე იმას კი არ ვამართლებ, ის ღირსი არ არის არავითარი გამართლებისა, ხოლო მე ჩვენებს ვამტყუნებ: მათ არ უნდა მიეწიათ, უნდა წამოსულიყვნენ...

**ვახტანგი.** (გააწყვეტინებს ამაღლებულის ხმით) როგორ თუ არ უნდა მიეწიათ? ორი ათასი მუშის თხოვნა მათს დელეგატებს თავზე გადაახია და მიეწიათ კი არა, იქავე უნდა დაეკლათ ღორივით, რომ საშვილიშვილოთ გადაეცათ ერთმანეთისათვის ბურჟუებს, თუ რას ნიშნავს მუშების აბუჩათ აგდება... მერე იმათ არ მიუწევიათ! პირველათ იმას მიეწია და ჩვენებს მხოლოთ იმის შემდეგ გამოუღიათ ხელი, ისიც შესაშინებლათ, თორემ სახლში წამოსვლას აპირებდენ (პაუზა).

**სონა.** შენ რომ მითხარი პირველათ, ტვინის ანთება დაეწყოვო, მე კიდევ იმედი მქონდა, იქნება გადაიტანოს როგორმე-მეთქი. თუ ის მოკვდა, რაღა დააწყნარებს მუშებს?

**ვახტანგი.** მუშები ისე აღელვებული არიან ამ შემთხვევით, რომ მე არ ვიცი რა მოხდება.

**სონა.** მაშ რას აპირებთ? ამ უქმეებზე რომ გაიფიცონ, რაღა ეშველებათ ამდენ ადამიანს?

**ვახტანგი.** გაფიცვას რომ აპირებდენ, კიდევ კარგი! უმეტესი ნაწილი შურისძიებას, სისხლის აღებას თხოულობს.

**სონა.** (გაოცებული) სისხლის აღებას? ვახტანგ, ეს ხომ შეუძლებელია! ეს ხომ ყველას ყელის გამოჭრა იქნება, ყველას დაღუპვა. და მერე განა გიორგის სიკვდილით ანდრია გადარჩება?

**ვახტანგი.** ადამიანს რომ სისხლი თავში აუვარდება, მერე ის გონიერებას და ლოღიკას კი არ ემორჩილება, არამედ თავის გულის თქმას.

**სონა.** მერე შენ რას ფიქრობ? ნუ თუ შენც იმათი აზრისა ხარ?

**ვახტანგი.** ეს სულ ერთია, მე რა აზრისაც უნდა ვიყო, საქმე იმაშია რომ მუშები ამ აზრისა არიან.

**სონა.** შენი საქმეა, შეაგონო, შეაგნებიო, რომ ჟინს, შურისძიებას საერთო საქმე არ ანაცვალონ.

**ვახტანგი.** ისინი დარწმუნებული არიან, რომ საერთო საქმე, პროლეტართა საქმე სწორედ სიკვდილს ითხოვს ამგვარი პირებისას. (ფიქრობს) შეაგონო! შენ გგონია, ჩემო სონა, რომ ეს ადვილი საქმეა. შენ გავიწყდება, რომ ისინი პროლეტარები არიან და ყოველისფერს სწონავენ და ითვისებენ პროლეტარულათ და არა ჩვენებურათ, ინტელიგენტურათ.

**სონა.** მერე ინტელიგენტურ შეგნებას პროლეტარული სჯობია? მე მგონია, სოციალდემოკრატების ერთი უმთავრესი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის შეგნება ინტელიგენტურ შეგნებათ აქციონ, პროლეტარიატი გაეინტელიგენტონ.

**ვახტანგი.** მე შენ ვერას გზით ვერ დაგეთანხმები; ინტელიგენტურ შეგნებას ყოველთვის პროლეტარული შეგნება ჯობია; პროლეტარიატს ინსტინქტიურათ ესმის ის, რასაც ინტელიგენტს სამ ტომიანი წიგნიც ვერ შეასმენს ხოლმე ზოგჯერ. ჩვენ იმას კი არ უნდა ვეცადოთ, რომ პროლეტარიატი გავაინტელიგენტოთ, არამედ იმას, რომ ინტელიგენცია გავაპროლეტაროთ, ე. ი. პროლეტარულ აზროვნებას მივაჩვიოთ. პროლეტარიატს კი მხოლოდ გათვითცნობიერება უნდა; გაათვითცნობიერე ის და შემდეგ ცხოვრებაში აღარ დაიბნევა;—ამის გარანტია მისი კლასობრივი მდგომარეობაა.

**სონა.** მე, შეიძლება, ჩემი აზრი ნათლათ ვერ გამოვთქვი. ხოლო გაინტელიგენტებას მე ამ გათვითცნობიერებას ვუწოდებ; აბა შენ თვითონ დაფიქრდი, გიორგის მოკვლა განა საქმეს შეძენს რამმე?

**ვახტანგი.** სონა, ერთ წამს დადექი იმათ ალაგას, განა მოსათმენია ის შეურაცყოფა, რომელიც მან მთელ მუშათა კლასს მიაყენა? მოთხოვნილების თავზე გადახევა არ აკმარა: დელეგატებს დახოცა მოუნდომა! მერე არ იკითხავ რისთვის? როგორ გაბედეთ ამისანა მოთხოვნილების წარმოდგენაო! ეს ისეთი შეურაცყოფაა, რომ პროლეტარიატის შეხედულობით ამის ჩამდენი სიკვდილის ღირსია.

**სონა.** მე საშინლათ მიკვირს შენი მსჯელობა, ვახტანგ.

**ვახტანგი.** იმიტომ რომ შენ სჯი ისე, როგორც ინტელიგენტი და არა ისე, როგორც შეურაცყოფილი პროლეტარიატი. შენ გავიწყდება ჩემო კარგო, რომ პროლეტარიატს თავისი მიზანი აქვს, თავისი საშუალებანი ამ მიზნის განსახორციელებლათ, თავისი საკუთარი გზა, თავისი საკუთარი შეხედულობა და მსჯელობა. რადგანაც მისი მიზანი არა ჰგავს სხვების მიზანს, ამიტომ ცხადია, არც მისი მსჯელობა ემგვანება სხვებისას.

**სონა.** მე ვერასოდეს ვერ შეურიგდები შენ აზრს, ვერასოდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ გიორგი მოკლეს, ამით საქმეს არაფერი შეემატება. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ მხარს დამიჭერდი, შეაგონებდი დანარჩენებს, მაგრამ თქვენ ყველას სისხლი გიყვარსთ არა ნაკლებ თქვენის მტრებისა,—რომ გეწყინოს მაინც გეტყვი.

**ვახტანგი** (ღიმილით). მე მხოლოდ ისა მწყინს, რომ პარტიის წევრი ხარ და პარტიულ მოძღვრებას კი კარგათ არ იცნობ. სოციალდემოკრატებს სისხლი არ გვიყვარს, ჩვენ გვწამს კლასთა ბრძოლა, ჩვენ ვაღრმავებთ ამ ბრძოლას როგორც ცხოვრებაში, ისე შეგნებაში, მაგრამ ეს სისხლის ღვრა აუცილებელი ხდება, როგორც შედეგი ან საშუალება კლასთა ბრძოლის გაღრმავებისა და გაფართოვებისა, მაშინ ჩვენ უნდა კიდეც დავღვაროთ სისხლი,—ამას ითხოვს ფაქტების ულმობელი ლოღიკა. ქალის მოსიყვარულე გული კი ფრიად სუსტი ლოღიკაა კლასთა ბრძოლის შეგნებისა და დაფასებისათვის.

**სონა.** ვახტანგ, შენ გენაცვალე! დაფიქრდი, კარგათ დაფიქრდი. ნუ თუ არ შეიძლება საქმის გამოსწორება ისე, რომ სისხლი არ დაიღვაროს? იმასაც ჰყავს ცოლი, შვილები, რატომ არ შეხვალ იმათ მდგომარეობაში? ლევანი ხომ მეგობარია შენი, ამხანაგი, და ამხანაგის მამა სასიკვდილოთ უნდა გაიმეტო?

**ვახტანგი.** (დადის) სონა, შენ გგონია, თითქოს მე გული არ მქონდეს, სიყვარულსა და ამხანაგურ გრძნობას სრულებით მოკლებული ვიყო და უსულგულო მანქანას წარმოვადგენდე. მე ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, ხოლო წინდაწინვე გიცხადებ, მუშები ძალიან აღელვებული არიან, და მე მათ ვამართლებ კიდეც. ხომ გაიგე? მე მათ ვამართლებ, მაგრამ მაინც ვეცდები, რომ უმსხვერპლოთ გადავრჩეთ, რადგანაც

ჩევნების საქმეს. თუ ხალხის ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, ეს მხოლოდ ადგილობრივი ს.-დ—ების აგიტაციის გავლენით. შარშანაც და წელსაც თელავის მაზრა ქალაქიანათ ირჩევდა თფილისში გასაგზავნათ 5 „ვიბორშჩიკს“. იმათგან 2-ს ირჩევდა გლეხობა, 2-ს თავად-აზნაურობა და 1-საც თვით ქალაქი. წელს ერთი ხმა გლეხებს წაართვეს და მიწათ-მფლობელთა კურიას მიუმატეს.

15 სექტემბერს დანიშნული იყო წვრილ მიწათ-მფლობელების რწმუნებულთა არჩევნები. ხალხი ცოტა გამოცხადდა. ადმინისტრაციამ კრება უკანონოთ გამოაცხადა. როდესაც დამსწრეთა უმეტესობა სახლში წავიდა, დაარჩინეს 11 კაცი და აარჩევინეს 5 რწმუნებული! მოტყუილებულმა ამომრჩევლებმა ამაზე შემდეგ პროტესტი განაცხადეს, მაგრამ რას გააწყობდენ. 23-ს სექ. მოხდა მემამულეთა კრება სამი „ვიბორშჩიკის“ ასარჩევათ. კრებას 18 კაცი დაესწრო (18 კაცი ირჩევს სამ კაცს, რამოდენიმე ათასი გლეხობა ერთს!) არჩეულ იქნენ თ-დნი მ. ჭავჭავაძე (მარშალი), ა. ვახვახიშვილი და ლ. ანდრონიკაშვილი. 26-ში მოხდა გლეხთა რწმუნებულების კრება ერთ „ვიბორშჩიკის“ ასარჩევათ. ესენი არჩევნებს დიდი ხალისით ეკიდებოდნენ. აირჩიეს ისაკ მოსეღვდლიშვილი. 27 დანიშნული იყო ქ. თელავის ამომრჩეველთა კრება ერთი „ვიბორშჩიკის“ ასარჩევათ. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი ს.-დ-ბი.

ფედერალისტები ყოველ ღონეს ღონობდენ არჩევნები ჩაეშალათ: ურიგებდენ ამომრჩევლებს გრძელ-გრძელ ბოიკოტისტურ შინაარსის ფურცლებს; მათი აგენტები დადიოდენ ქუჩა-ქუჩა და ურჩევდენ ამომრჩევლებს არ წასულიყვენ კრებაზე; ვრცელდება ხმები (თავის თავათ იგულისხმება, ვისგან) სროლა ასტყდებაო; ისროდენ ს. დ-ების მიმართ უწმაწურ სიტყვებს და სხვ. მაშ რით ისახელონ თავი, თუ არ საქმიანობისათვის ხელის შეშლით! რათ უნდა ისეთი არჩევნები და ისეთი დუმა, სადაც თავის კაცებს ვერ გაიყვანენ! ისევ სჯობია ბოიკოტი გამოეცხადოს, ვინაიდგან ნათქვამია: „კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“. 1300 ამომრჩეველთაგან ყუთებთან გამოცხადდენ 170. წამოყენებული იყო ორი კანდიდატი ს. დ-ების მხრიდან ტ. დიასამიძე და ერთი უპარტიო—დ. ცისკაროვი. პირველმა მიიღო 140 თითო ხმა, მეორემ 30. ამგვარათ არჩევნები თელავში და თელავის მაზრაში დასრულდა. არჩეულნი არიან: გლეხებიდან ისაკ მოსეღვდლიშვილი ს. დ., ქალაქიდან—ტ. დიასამიძე—ს. დ. მემამულეებისაგან: თ. მ. ჭავჭავაძე, თ. ა. ვახვახიშვილი, თ. ლ. ანდრონიკაშვილი. **რომანოზი.**

—

**რაჭა**. არჩევნები რაჭის მაზრაში დამთავრდა. აირჩიეს გლეხთა კურიიდან ერთი და მემამულეებიდან სამი ვიბორშჩიკი, ყველანი ს. დ. პარტიის მომხრენი. საერთოდ არჩევნები დიდ უმრავლესობის შეუტყობინებლათ მოხდა, ხოლო ვინც გამოცხადდა, ამხანგების შეტყობინება მეცადინეობით იყო. როგორც სხვაგან ბნელმა ძალებმა, ისე აქაც ბევრი ხრიკები იხმარეს, რათა არჩევნები თავის სასარგებლოთ გამოეყენებინათ. მაგ., მარშალი დ. ჯაფარიძე ქუთაისიდან ტელეგრამითატყობინებდა კომისიას მისი კანდიდატურა წამოეყენებინათ, მაგრამ რადგან ის არც წვრილ მემამულეთა რწმუნებულებში ერია და არც მსხვილ ცენზიანი მემამულე იყო, უფლება არ მიეცა. თუმცა კომისიამ ძლიერ მოინდომა „პატივცემულ“ დავითის სიამოვნება, მაგრამ არ მოხერხდა კანდრაბანდათ ყუთის დადგმა. წვრილ მემამულეებისაგან რწმუნებულებათ არჩეული იყო სამი კაცი, რახან უკანასკნელ არჩევნებზე მსხვილი მემამულეები არ გამოცხადებულან, ამ სამ კაცს კანონით უფლება ქონდათ აერჩიათ ერთმანეთი „ვიბორჩიკებათ“. კომისიამაც და აქ დამსწრე კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ტვიორდიმ კარგათ იცოდენ, რომ სამი ვიბორშჩიკის შემცირების უფლება არ ქონდათ, მარა რადგანაც სამივე ჩვენი მომხრენი იყვენ არ დარჩათ სასიამოვნოთ და რომ საქმე როგორმე ჩაეშალოთ აფრინეს გუბერნატორთან ტელეგრამა და შეეკითხენ, შეიძლებოდა თუ არა სამ რწმუნებულს ერთმანეთი აერჩიათ. გუბერნატორმა ალბათ, იგივე უპასუხა, რასაც კანონი ლალადებს და არჩევნებიც მოხდა, კომისიაში მყოფნი წევრები ბ-ნნი ფედერალისტები სწუხდენ თითქო რაღაც სამართლიანობა დარღვეულიყოს, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, მაშინ რატომ არ ირღვეოდა სამართლიანობა, როდესაც არჩევნებზე არავის მოუწოდდეს? გლეხთა კურიიდან იქნა ამორჩეული ერთი. ბნელი ძალების მოქმედებამ ამ ერთის არჩევაც გააძნელა, ვინაიდან 4 საზოგადოების რწმუნებულებს არჩევნებში ხმა დაუკარგეს, მათი „პრიგოვორების“ დაფარვით (გადამალვით) და აი, სწორეთ მშრომელთა ინტერესების დამცველნიც იმათში იყვენ. 4 საზოგადოების პრიგოვორები დაიჩქმალა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს პრიგოვორები გადაცემულია სოფლის მამასახლისებისაგან დამტარებელ ჩაფარზე ერთი კვირის წინ არჩევნებამდის, რასაც მოწმობს დამტარებლის წიგნი, მაგრამ არც პოლიციას და არც თვით კომისიას, მათი სიტყვით, ჯერაც არ მიუღიათ, რის გამო რწმუნებულთა რიცხვი გლეხთა კურიიდან შესამჩნევათ შემცირდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იმ მცირე რიცხვიდან, რომელნიც მოდიოდენ არჩევნებზე „ბოიკოტისტ“-კაკარდოსან ფედერალისტების რჩევით ბევრი უკან გაბრუნდენ.

ეს—დეკი.

## რუსეთში.

— კადეტების საარჩევნო კრებაზე—პეტერბურგში, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, მილიუკოვმა წაიკითხა მოხსენება. როგორც მოსალოდნელი იყო, მომხსენებელმა დიდათ შეაქო კადეტთა პარტია, რომელმაც, მისი აზრით, ყველა სხვა პარტიებზე მეტი გააკეთა თავისი პროგრამის განსახორციელებლათ, რაიც გამოიხატა სხვა და სხვა გვარი „პროექტების“ შემუშავებით. მემარცხენეთა და განსაკუთრებით სოციალისტთა პარტიებს მილიუკოვმა დააბრალა ორივე დუმის სისუსტე; კადეტებმა კი დუმას დღეგრძელობა მიანიჭესო. დღევანდელ მომენტის განხილვის დროს მილიუკოვმა განაცხადა: კ—დ—ების პარტიას არასოდეს სენათ არა ჰქონია ზედმეტი გატაცება, მაგრამ ის ნებას არ მისცემს, ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცესო. რუსეთის მოწინავე საზოგადოება წინათ შეცდომებით სავსე იყო, ახლა კი მას მრავალი ცოდნა-გამოცდილება აქვს, რომელიც უნდა გამოიყენოს ბრძოლის გასაგრძობათ, და არა გულ-ხელ დაკრეფილი იჯდესო. მომავალ დუმის შესახებ მილიუკოვმა თქვა, რომ მასში შეუზღუდველ მონარქიის მომხრეთა ჯგუფი მცირე-რიცხვოვანი და უნიჭო იქნება. ოქტომბრისტების ჯგუფიც, მისი აზრით, მცირე და უფერული იქნება. ყველაზე უფრო მრავლათ უპარტიო დეპუტატები იქნებიან, რომლებიც თვით დუმაში დანაწილდებიან პარტიებს შორისო. მემარცხენეთა რიცხვი უმნიშვნელო იქნება. კადეტების ფრაქცია კი 100-მდე ადგილს დაიჭერს. ამის გამო კადეტები კვლავ პასუხის მგებელნი შეიქნებიან დუმის მოქმედებისათვის და მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი ვერ მოახერხებენ თავიანთ წინადადებათა გაყვანას კრიტიკოსების როლს შეასრულებენ ხოლმე. როგორი რეფორმების გატარებას ეცდებიან კადეტები, ეს უკვე აღვნიშნეთ გუშინ. მილიუკოვის წინააღმდეგ ილაპარაკა ი. მიასნიკოვმა (და არა კვასნიკოვმა). ორატორმა განაცხადა, რომ ის წინანდელ არჩევნების დროს კადეტების ვიბორშჩიკი იყო; მაგრამ გულდასმით ადევნებდა რა თვალ-ყურს კადეტების მოქმედებას დუმაში, დარწმუნდა, რომ კადეტთა პროგრამასა და საქმეს შუა დიდი საზღვარია და რომ ხალხის თავისუფლების დამცველები არის არა „ხალხის თავისუფლების პარტია“ (კადეტები), არამედ მემარცხენენი. თავისი აზრის დასამტკიცებლათ მიასნიკოვმა მოიხსენია კადეტების მიერ უარყოფა მემარცხენეთა წინადადებისა იმის შესახებ, რომ დუმას ადგილობრივი კომიტეტები დაეარსებინა მთავრობაზე ხალხის გამოკვლევის საქმეში კონტროლის დასაწესებლათ.

— პეტერბურგში დანიშნული იყო მეორე საარჩევნო კრება ნობელის სახლში. დარბაზში შესვლა მეტის მეტათ გაძნელებული იყო პოლიციის მიერ. ჯერ გარედან პოლიცია თხოულობდა უწყებას, შემდეგ კიბესთან სასტიკი კონტროლი იყო; 5 ოკოლოდჩნიკი და ერთი ბოქაულის თანაშემწე შემსვლელთ ნამდვილ „დაპროსს“ უკეთებდენ, კითხულობდენ საარჩევნო სიის ნომერს, ადრესს, სად უცხოვრია წინათ, რა ცენზი აქვს, საიდან არის და სხ. მცირეოდენი მიზეზისათვის მიმსვლელს უკან აბრუნებდენ. არ შეუშვეს გაზეთების კორესპონდენტები, ერთ მათგანს ორი უწყება ჰქონდა; ერთი სარედაქციო, მეორეც საარჩევნო მხოლოდ ამიტომ პოლიციამ ის არ შეუშვა დარბაზში, და ერთერთ უწყებაზე დაუწერა: „ორი უწყებით მოვიდაო“. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო, ამის მიუხედავათ კრება მაინც გაიხსნა, მაგრამ როგორც კი პირველი ორატორი მეორე დუმის გარეკას შეეხო და მთავრობის მოქმედებაზე დააპირა ლაპარაკი, პოლიციამ მაშინვე პირში ბურთი ჩაჩარა სიტყვა წაართვა. აგრე მოექცა მეორე ორატორსაც, რომელმაც სცადა აეხსნა კრებაზე ასე ცოტა ხალხის დასწრების მიზეზი. „მთავრობის და პოლიციის მოქმედების კრიტიკა აკრძალულიაო“ განაცხადა პოლიციამ და დახურა კრება.

— პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიამ წინადადება მისცა ცნობილ მღვდელს გრ. პეტროვს—ნუ გამოხვალ ორატორათ პეტერბურგის საარჩევნო კრებაზეო, ხოლო, „ცთუნების“ თავიდან ასაცილებლათ საზღვარ გარეთ წადი, სანამ არჩევნებიაო.

— იაროსლავის გუბერნატორმა გააუქმა ის არჩევნები, რომელშიაც ვიბორშჩიკათ გავიდა ცნობილი შლისელბურგელი მოროზოვი.

— ეკატერინოსლავის მუშათა რწმუნებულების კრებაზე, რომელსაც 180 კაცი დაესწრო, მიღებულ იქნა მკაცრი რეზოლიუცია ბოიკოტისტების წინააღმდეგ.

— სოც.-დ—ები დამოუკიდებლათ გამოდიან პეტერბურგის მაზრის ქალაქის ამომრჩეველთა მეორე კურიაში.

— კოსტრომაში მუშათა რწმუნებულების სიეზდმა აირჩია 5 ვიბორშჩიკი—ყველანი სოც. დემოკრატები.

— ვლადიმირის გუბერნიაში ვიბორშჩიკებათ გავიდენ: 14 მემარჯვენე, 13 ოქტომბრისტი, 12 კადეტი, 12 გამოურკვეველი, 7 სოც.-დემოკ., 7 ზომიერი, 3 მემარცხენე და 2 „მოკავშირე“.

— ეკატერინოსლავში ხმის დიდ-ძალი უმეტესობით მუშათა რწმუნებულებმა ვიბორშჩიკებათ აირჩიეს სოც.-დემ.

— ქ. ტომსკში ს.-დ. კომიტეტმა, არჩევნებზე დამარცხების შიშით, წინადადება მისცა ამომრჩევლებს ხმა მისცენ კადეტების სიას.

— პეტერბურგის სოც.-დემ. კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება პეტერბურგის მაზრის ქალაქების მეორე კურიის ამომრჩეველთა მიმართ, რომელიც მოიწვევს ხმა მისცენ სოც.-დემ. კანდიდატებს დოქტორ გელფერს და მებაშმაკეს ზვირევს.

# მუშათა შორის

—

**სად. ავტაგლია.** აქ ნავთის გასაყვან სადგურზე მუშაობს 15—16 მუშა-მოსამსახურე, რკინის გზის სადგურზედაც ამოდენივე წვრილი და სხვილი მოსამსახურე იქნება; აქვე მუშაობს სამოც კაცამდე რკინის გზის რემონტის მუშა. ნავთის გასაყვანი სადგურის მუშა-მოსამსახურენი, იმის ნაცვლათ, რომ გონება განავითარონ, ერთი მეორეს ხელი შეუწყონ და შეკავშირებული ძალით იბრძოლონ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ,—„კიბოს ნაბიჯით“ სულ უკანუკან მიდიან, აქ ერთი სლესარი ალექსეევია, ჩამომავლობით. „ჭეშმარიტი რუსი“, რომელიც მთელ სადგურს განაგებს და ყველა მოსამსახურეების ბედი თუ უბედობა მაზეა დამოკიდებული ამ ვაჟ-ბატონმა ერთი თუ ორი თვის წინათ დაბეზღებით დაათხოვნია ორი ალალ-მართალი კაცი—რუსები: ემელინი და კუზნეცოვი, რადგან ისინი „ჭეშმარიტ რუსებათ“ ვერ იცნა. ამ ბოლო დროს ხსენებული ვაჟბატონი ისე გაკადნიერდა, რომ თავის უფროსსაც კი ემუქრება დათხოვნს. ერთი თვისება მოსაწონი აქვს ბ-ნ ალექსეევს: უცნობს და ნაცნობს ყველას ელაპარაკება თავის

---

თვით უკანასკნელი ჯაშუშიც კი სიბრალულის ღირსია.

**სონა**, მე კი მეგონა, რომ შენც სხვებისავით შეუბრალებელი იყავი.

**ვახტანგი**. ძალიან ცუდათ გგონებია, ჩემო კარგო! იმასაც გეტყვი, რატომ გეგონა ასე!

**სონა**. რატომ?

**ვახტანგი**. იმიტომ რომ შენ ქალი ხარ და ქალები კი ყოველგან და ყოველისფერში გრძნობას აძლევთ უპირატესობას და არა გონებას. სიბრალული სხვა არის ცხოვრება სხვა; და იქ, სადაც ბრძოლაა საჭირო და ბრძოლით საქმის გაკეთება, სიბრალული მხოლოდ ხელის შემშლელია. განა მუშა ხალხი ვისმე ებრალება? არავის, ყველა მას აძრობს ტყავს. მაშ იმან რაღათ უნდა შეიბრალოს სხვები? ყოველ ჩვენგანს ერთის მხრით ცხოვრება აიძულებს და მეორე მხრით ზნეობა ავალებს, რომ მუშა ხალხი საბრძოლველათ აამხედროს, რადგანაც მისი ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია და სიბრალული და სიყვარული მტრისადმი უკუაგდებოს.

**სონა**. განა სიბრალული, სიყვარული და ადამიანური ურთიერთობის დამყარება საჭირო არ არის საზოგადოებაში?

**ვახტანგი**. ვინ ამბობს, რომ საჭირო არ არის? ფრიად საჭიროა, ხოლო შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია მოპირდაპირე კლასთა შორის სიყვარულის ხიდის გადება. ამიტომ ჩვენ თავი უნდა დავანებოთ ოცნებებს და გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ ბრძოლა, რომ პროლეტარიატმა გაიმარჯვოს და დაამყაროს საზოგადოებაში ისეთი წყობილება, სადაც მტრობასა და სიძულვილს ნიადაგი აღარ ექნება (შემოდის სპირიდონი, ჯერ სონას ართმევს ხელს, შემდეგ ვახტანგს გაუწოდებს, მაგრამ ის ჯიბეში ჩაიწყობს ხელს და მიჩერებია).

**სპირიდონი**. (გაოცებული) ეს რას ნიშნავს?

**ვახტანგი**. იმას, რომ მე თქვენისანა კაცს ხელს არ ვათმევ.

**სპირიდონი**. ნება თქვენია, მაგრამ თქვენთვის მე არაფერი დამიშავებია.

**ვახტანგი**. (დადის) ჰოო, რასაკვირელია, თქვენ არავის არაფერს არ უშავებთ, ცამდის მართალი ხართ, ყველასთვის კარგი გსურსთ, მაგრამ უმადური არიან, არ გაფასებენ, თქვენს სიკეთეს ვერ ხედავენ!

**სპირიდონი**. ის ღმერთმა იცოდეს, რამდენი უსიამოვნება მე მომელის მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველთვის და ყოველისფერში მუშებს ვესარჩლები, მაგრამ ერთი თქვენ თვითონ სამართლიანათ განსაჯეთ: რა შემიძლია მე? მოჯამაგირე ვარ, ჩემი მოვალეობაა მხოლოდ ფაბრიკანტის ინტერესები დავიცვა, და თუ არ ავასრულებ ამ მოვალეობას, ჩემს ალაგას სხვას მონახავენ,—მე არავინ მომერიდება, მაგრამ მიუხედავათ ჩემი ამგვარი მდგომარეობისა, მე ყოველთვის მუშების მხარეზე ვიყავი და ვარ. ბევრჯელ ალაგის დაკარგვაც კი მომელოდა და ულუკმა პუროთ დარჩენა, მაგრამ ჩემი სინდისისათვის არ მიღალატნია.

**ვახტანგი**. (სიცილით გააწყვეტინებს) ჰოი, უსამართლობავ! თქვენ, თურმე მუშების პირველი მოსარჩლე და გულშემატკივარი ყოფილხართ და ისინი კი, დახეთ იმ უმადურებს, მტრათა გთვლიან! (სონა გადის) არა, ბატონო სპირიდონ! მუშებმა კარგათ იციან, ვინ არის მათი მტერი და ვინ მოყვარე და ამიტომ ტყუილათ ცდილობთ სხვების თვალის ახვევას. დრო არის ორ სკამზე ჯდომას თავი დაანებოთ,—ეს უფრო პატიოსნებაა. თქვენ მუშების გულიც გინდათ მოიგოთ და თქვენი ბრძანებელისაც. გულითა და ბუნებით თქვენც ისეთი ბურჟუა ხართ, როგორც ის (თითს იშვერს ქუჩისკენ) მაგრამ მუშების ძალას ხედავთ, გეშინიათ და ამიტომ ფარისევლობთ, მელაკუდაობთ, ქვემძრომლობთ.

**სპირიდონი**. მაგისთანა ლანძღვა ჯერ მე არაფრით არ დამიმსახურებია.

**ვახტანგი** (გააწყვეტინებს). თქვენ მეტიც დაიმსახურეთ. იმდენი დაიმსახურეთ, რომ პატიოსანი ადამიანის სახლში შესაშვები არა ხართ და, თუ მაინც შემოგიშვით, იმიტომ მხოლოდ, რომ კიდევ მებრალებით.

**სპირიდონი**. საკვირველია ღმერთმანი, თქვენ ასე გგონიათ, თითქოს ყველაფერი ჩემს ხელთ იყოს და მე ყველაფერი შემეძლოს, ყველაფერი ჩემს ნებაზე იყოს დამოკიდებული. თქვენ გავიწყდებათ, რომ მე დირექტორი ვარ და იმდენი შემიძლია, რამდენიც აი, თუნდა თქვენ.

**ვახტანგი**. რას მელაპარაკებით! თქვენ არ შეგეძლოთ, რომ ათასგვარი ჯარიმებით სული არ ამოგეხდინათ მუშებისათვის? თქვენ არ შეგეძლოთ, რომ მუშების ყოველი კრების შემდეგ თქვენს ბრძანებელთან და პოლიციასთან არ გაქცეულიყავით ხოლმე! რამდენი ერთი ჩამოვთვალო? მე დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელი ისტორიაც დელეგატების დაჭერისა სულ თქვენი საქმეა: მაშ, ვისი რჩევით დამალავდა ის ვაჟბატონი პოლიციელებს სახლში, თუ არ თქვენი რჩევით?

**სპირიდონ** (თითქოს გაოცებული). ბ-ნო ვახტანგ! შეგიძლიათ ჩემზე იფიქროთ, რაც გენებოთ, ხოლო ჩემ პიროვნებას ნუ შეეხებით. რა საბუთი გაქვთ, რომ ასეთ ცილსა მწამებთ?

**ვახტანგი**. მთელი თქვენი მოღვაწეობა ჩვენს ფაბრიკაში საბუთია ამისი.

**სპირიდონი**. შესაძლებელია, მე ვცდებოდი, შესაძლებელია იქე ვერ ვმოქმედობდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ შეუმცდარი ვინ არის? მირჩიეთ როგორ მოვიქცე, და მეც ისე მოვიქცევი. იქნება თქვენა გგონიათ, რომ მე გიორგისათვის უფრო შემტკივა გული, ვიდრე მუშებისათვის? გეფიცებით, ჩემი გული ყველა ღატაკებისაკენ არის, მაგრამ გულზე ხელსა მკრავთ, ახლოს არ მიკარებთ, და მარტო მე რა ვიცი, როგორ მოვიქცე? ვიცი, რომ თქვენ მუშებისათვის თავდადებული ხართ, და დიდი გავლენაცა გაქვთ მუშებში. თვალში რომ ჩაუვარდეთ, თითს არ ამოისვამენ. თქვენ შეგიძლიათ, შემატყობინოთ ხოლმე ყოველი მოთხოვნილება და საჭიროება მუშებისა და რაც კი შემეძლება, გეფიცებით, ავასრულებ.

**ვახტანგი**. თქვენი დახმარება მუშებისათვის საჭირო არ არის. თქვენ ისევ გიორგის დაეხმარეთ ხოლმე და პოლიციელებს. მე კი გულწრფელათ გირჩევთ: დაანებეთ ამ ფაბრიკას თავი და დროით წადით, თორემ მერე შეიძლება გვიანღა იყოს.

**სპირიდონი** (ჩაფიქრებული). შედით ჩემს მდგომარეობაში, შეიბრალეთ ჩემი ცოლ-შვილი. მე ეს ფაბრიკა მარჩენს და მე რომ ულუკმა-პუროთ დავრჩე, თქვენ რა შეგეძინებათ ამით?

**ვახტანგი**. თქვენ ვინ შეიბრალეთ, რომ თქვენ შეგიბრალონ? თქვენ გიორგის მარჯვენა ხელი იყავით და მასთან ერთათ აძრობდით ტყავს და ყვლეფავდით საბრალო მუშებს. თქვენ წურბელსავით წოვდით სისხლს და ცდილობდით, რომ ყოველგვარი ღონე გეხმარათ მათი გამოფხიზლების წინააღმდეგ. ისინი ცდილობდენ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, და თქვენ წინ ეღობებოდით მათ მეცადინეობას. მათ ბრძოლა დაიწყეს თავისი უფლების მოპოებისათვის, თქვენ მტკიცეთ ამხედრდით მათ წინააღმდეგ, თქვენ სტკბებოდით მათის დამარცხებით, მაგრამ თქვენი ნეტარება და გამარჯვება ხანგრძლივი არ იყო. მიუხედავათ მთელი თქვენი მეცადინეობისა, ხალხმა გამოიღვიძა. ის ერთობითა და სიმტკიცით გაიმსჭვალა და შედგა ბრძოლის გზაზე, რომლიდანაც მას ვეღარავითარი გიორგი და სპირიდონი ვეღარ გადაახვევინებს. ის, ადრე თუ გვიან, თავის მიზანს მიაღწევს და მიაღწევს ბრძოლით. რაც უფრო მედგრათ გადაეღობებით თქვენ წინ, მით უფრო მედგარი და შეუბრალებელი იქნება ის. ამ ბრძოლაში ის შეიძლება ბევრჯერ დამარცხდეს, მაგრამ მომავალი მაინც მისია. საბოლოოთ მაინც ის გაიმარჯვებს და ამიტომ გირჩევთ, ჩამოეცალოთ მას გზაზე, სანამ კიდევ დროს არის.

**სპირიდონი**. მე ხელს თუ ვუწყობდი მუშებს, თორემ იმათ წინააღმდეგ მე არასოდეს არ წავსულვარ, მე მეგონა, რომ თქვენში ვპოვებდი ისეთ ადამიანს, რომელიც ჩემს მდგომარეობაში შევიდოდა; მე ვიცი, რომ მუშები გლახა თვალით მიყურებენ და სწორეთ ამიტომ მოველ თქვენთან, რომ თქვენ მაინც დაგენახვებინათ მუშებისათვის სიმართლე, თქვენ მაინც აგეხილათ მათთვის თვალები და დაგენახვებინათ, რომ მე მათი მტერი არ ვარ, მაგრამ მე თქვენშიაც მოვტყუვდი.

**ვახტანგი**. დავანებოთ ამგვარ თავის მართლებას თავი, მუშებმა კარგათ გაგიცნეს ვინცა ხართ, მეც კარგათ გიცნობთ და ამიტომ გირჩევთ აქედან წახვიდეთ. (სპირიდონი ადგება, შეჩერდება, ჩაფიქრებული ხელს გააქნევს და გავა. ვახტანგი დადის. შემოვა სონა).

(გაგრძელება იქნება).

**ივ. გომართელი.**

წარსულ მოქმედებას: მაგ. რამდენი კაცი დაუბეზღებია, რამდენი გადაუსახ მისი წყალობით, რამდენჯერ მისთვის თოფი უსროლიათ და სხ. ადვილი მისახვედრია, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან ბ. ალექსეევის „ხელ-ქვეითები".

რკინის გზის სადგურზე ალექსეევის როლს თამაშობს სადგურის უფროსი ბაიაროვი. ვინც კი მას თავისი უფროსობის დროს ადგილზე დაუყენებია, „მაგარიჩათ" ზოგისთვის ათი მანეთი აუწაპნია, ზოგისთვის ხუთი და ზოგისთვის მეტიც. (ამის უტყუარი საბუთი ხელთა გვაქვს) სადგურის მოსამსახურეების ოჯახში მოხმარება, ეს ხომ საზოგადოთ სადგურების უფროსებს დაკანონებული აქვთ და ამაში ბ. ბაიაროვიც, რასაკვირველია, არ აკლებს ხელს. მოსამსახურეები, იმის ნაცვლათ, რომ ებრძოლონ ამ გვარ უსამართლობას და ალაგმონ უფროსი, ერთი მეორეს ეჯიბრებიან— აბა ვინ უფრო კარგათ გაუწმენდს იატაკსო და სხ. კლასთა ბრძოლაც ასეთი უნდა! გადავიდეთ ახლა რკინის-გზის რემონტის მუშებზე. ესენი ხომ ყველა სადგურებზე ცუდ პირობებში არიან, მაგრამ ისე დაბეჩავებული და აბუჩათ აგდებული, როგორც აქ (აგ-ტაგლიის სადგურზე) მთელ დედა-მიწაზე არ იქნებიან. მათი საცხოვრებელი ბინა სწორეთ ძროხების ბოსელს მოგაგონებს, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ძროხების ბოსელს პატრონები სწმენდავენ, კარიც აქვს და ფანჯარაც, ხოლო აქაური რემონტის მუშების ბინას, არც კარი აქვს, არც ფანჯარა და არც დაგვილია. ამნაირ ბინას ზოგიერთები თავიანთ ძაღლებსაც არ მიუჩენენ საცხოვრებლათ; ჯამაგირი სამი აბაზია. მოდი და იცხოვრე ამ ჯამაგირით აგ-ტაგლიაში, სადაც არავითარი სურსათი არ მოიპოვება და მის საშოვნათ ქ. თფილისში უნდა იარო, ისიც მუშაობის შემდეგ. დღეს 43 მუშა დაითხოვეს აგ-ტაგლიაში ყოვლის უმიზეზოთ და არც ორი კვირის ჯამაგირს აძლევენ, როგორც ეს დაკანონებულია ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, არც ვინმე თავს იტკივებს მათთვის, თუმცა მათი ტირილი და გოდება ქვასაც კი აატირებს, მარა განა რკინის გზის ადმინისტრაციის გული იგრძნობს მუშების გაჭირვებას?..

—

**აგურსა და კრამიტზე მომუშავენი** თფილისში მრავლათ მუშაობენ. ამათი მდგომარეობა აუტანელია. დილიდან საღამომდის მეკრამიტეს ხელი და ფეხი თიხის ზელაში აქვს. ეს მეტათ მძიმე შრომაა. მეკრამიტეები ძლიერ მალე სნეულდებიან: ერთ თავათ ტალახის ზელის გამო მუხლები ერთობ ადრე უძლურდებათ. სხვაფრივაც მეკრამიტეები დიდს გაჭირვებაში არიან.

თავიანთ ხელობაში მათ არავითარი სამუშაო წესები არა აქვთ დადგენილი: არც მუშაობის დრო აქვთ განსაზღვრული, არც არაფერი სხვა. კრამიტიც ერთობ იაფათ ეყიდებათ. დროა მეკრამიტეებმაც თვალი გაახილონ და მუშათა საერთო საქმიანობაში ისინიც ჩაებან.

—

**შაგალი ელიარის ქარხანა-მაღაროებში** (ბორჩალოს მაზრა). ეს ქარხანა დაშორებულია სად. შაგალის 13 ვერსტით, რომელსაც არ ახლავს მახლობლათ არავითარი სოფელი და არც ქალაქი, რის გამოც აქაური მუშები მოწყვეტილი არიან ყოველგვარ გონებრივ საზრდოს. ქარხნის ადმინისტრაციაც არ ზოგავს არავითარ საშუალებას, რომ ხქვეშ გასრისოს ყოველგვარი სურვილი მუშების წინსვლისა. თუმცა მუშების მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა აქ კარგ პირობებში, მაგრამ, გასულ წლებთან შედარებით წელს აუწერელი გახდა მათი მდგომარეობა. გასულ წლებში მუშები აქ იღებდენ დღეში 1 მან.— 1 მ. 20 კ. 10 საათის მუშაობით დღეში. წელს კი ქარხნის გამგე გამოსცვალეს და ახალმა გამგემ ახალი სისასტიკით და ექსპლოატატური ნიჭით აღსავსემ მოსვლისათანავე შემოიღო 11 საათის სამუშაო დღე და დაიყვანა მუშების ხელფასი 60—70 კაპეიკამდე. გარდა ამისა, თუ შეხვდება სოფლიდან ჩამოსულ უვიც მუშას, რომელიც მზათ არის სულ მცირე ფასში იმუშაოს, ითხოვს ძველს და იღებს ახალს. შეუძლებელია ყველა იმის აწერა, რაც აქ, ამ მიყრუებულ კუთხეში ხდება და აგრეთვე ყველა სიმართლის გამომჟღავნებაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაგრამ მე გაცნობ მკითხველს მოკლეთ აქაურ მუშების მდგომარეობას და ადმინისტრაციის აღვირ-წახსნილ მოქმედებას.

ბ-ნი დირექტორი მოურიდებლათ და ურცხვათ ატყუებს მუშებს და უოგვლი ფეხის გადადგმაზე სცარცვავს მათ. ამ ერთი თვის წინათ დაამთავრეს ახალი ქვის სარეცხი ფაბრიკა. კიდევ ერთი თვის წინათ, დირექტორმა შემდეგი გამოუცხადა მუშებს და ხელოსნებს: „თუ თქვენ ფაბრიკას დაამთავრებთ ოცი დღის განმავლობაში, მე თქვენ დაგირიგებთ ათი დღის ქირას პრემიათო". მუშებმა, რომლებიც ვერ მიმხვდარიყვენ დირექტორის თინებს, მთელი თავის ძალღონე მიაღიეს საქმეს და განსაზღვრულ დროზე ფაბრიკა დაამთავრეს.

ბ-ნმა დირექტორმა, იმის მაგივრათ რომ მუშებისთვის დანაპირები პრემია დამრიგებია, დაითხოვა ამ მუშების უმეტესობა.

ანგარიშის გასწორების დროს მუშებმა მოსთხოვეს დირექტორს დანაპირები პრემია, რაზედაც მტკიცე უარი მიიღეს.

წარმოიდგინეთ ლაპარაკსაც კი არავის ანებებდა ამის შესახებ და შემდეგი სიტყვებით ისტუმრებდა: „не надоѣдай напрасно! разъ я сказалъ не дамъ,—значить не дамъ"-ო. როცა 15 და 20 მუშას ერთათ ატყუებს ბ-ნი დირექტორი მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, როგორ ატყუებს ის თითოეულ მუშას ცალკე.

შეხედეთ თქვენ ეხლა ამ ფაბრიკაში მომუშავეთა მდგომარეობას. ერთ ბეწო ალაგს ვერ იპოვით მშრალს; ყველგან წყალი დგას და ზევიდან გამუდმებით წყალი ასხამს. ხელები და ფეხები მუდამ წყალში აქვს მომუშავეს. უზომო სიცივე და გამუდმებული სისველე, აბა წარმოიდგინეთ ამ პირობებში მუშაობა. არ ეძლევათ მათ არც პლაშჩი არც ფეხსაცმელი სისველისაგან თავის დასაფარავი, რაც აუცილებლათ უნდა ეძლეოდეს მუშებს მექარხნეების ხარჯზე ასეთ დაწესებულებებში. შეხედეთ მათ ბინებს რას წარმოადგენს ის. იქ მაინც შეეძლოთ სველ მუშებს საღამოზე გაშრობა. შედიან რადაც თავლაში, რომელსაც „მუშათა სადგომებს" უწოდებს აქაური ადმინისტრაცია, რომელშიც ფაბრიკაზე არა ნაკლები სისველეა. ორში ერთი უნდა არჩიონ მუშებმა: ან ასეთ ბინებში დარჩენა და ან 6 ვერსი გზის გავლა, რომ ქარხანასთან არსებულ ბინებში ჩავიდეს და იქ მოთავსდეს. ამ ბინებზედაც ვიტყვი, რადგან ეს ახლათ აგებული და ჯერ დაუსრულებელია.

მუშაობა სწარმოებს უმეტეს ნაწილათ ნარდათ და ისიც სულ მცირე ფასებში, რაზედაც დირექტორმა ადვილათ იცის სიტყვის მოჭრა: „თუ არ გნებავთ მიბრძანდითო"? მუშების დათხოვას ხომ საზღვარი არა აქვს.

არ არსებობს მუშებისათვის არც სასადილო, არც აბანო და არც საავათმყოფო, გარდა უბრალო აფთიაქისა. არსებობს მხოლოდ ერთი სანოვაგის მაღაზია, რომელიც თვით კაპიტალისტებს ეკუთვნის და რომელიც ერთგვარი მახეა მუშებისაგან უკანასკნელი გროშების გამოსაცინცლავათ. ამ მაღაზიებში მამასისხლათ ყიდიან ყველაფერს. ქარხანა-ფაბრიკაში ითვლება სულ 250-მდე მუშა რომელთა უმეტესობას სომხები შეადგენენ, შემდეგ ბერძნები და დანარჩენები კი რუსები, ქართველები, ოსები და თათრებიც. შეკავშირების და განვითარების სურვილი ხშირათ ეტყობა მუშებს, მაგრამ ამას წინ ეღობება რამოდენიმე ენატანია და დირექტორის ლაქია ვაჟბატონები, რომლებიც გუშინ თვითონ მუშები იყვენ და დღეს თავიანთ ენატანიობით მუშების თავზე არიან წამოსკუპულნი. აქ ისინი ახერხებენ ორივე მხარეების მოტყუილებით ყურადღების დამსახურებას.

ეს ვაჟბატონები, ოდენ თავიანთ თავი უავდეთ სრულს ბედნიერებაში და სხვისი უბედურება მათ ფეხებზე ჰკიდიათ. შური, მტრობა, ღალატი, მექრთამეობა, მოტყუილება ა. ი. რა აწერია მათ დროშაზე.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია დირექტორის დამქაშთა ბანაკიდან—შოდრიადჩიკი იორიკა სარასიძე. მას აქვს იჯარით აღებული შენობები, რომლებიც ისევ იჯარით აქვს გაცემული სხვებზე; თვითონ კი ჯიბეებში ხელ-ჩაწყობილი დადის და იჯიბავს უზრუნველ-ყოფილათ მუშების ოფლით მონაგარ ფულებს.

იმ დროს, როცა აქაური მოსამსახურეები და მუშები მოკლებულნი არიან ხეირიან ბინას, ბატონი იორიკა, გუშინდელი მეჯინიბე, დირექტორის სახლში მშვენიერ ოთახებში სცხოვრობს და ტელეფონის მავთულივით გაბმულია მოსამსახურეთა და დირექტორს შორის. ის არ ენდობა აქაურ პოლიციელ სტრაჟებს და თვითონ დაუვება დირექტორს მცველათ.

— ქურდ-ბაცაცებმა აქაც იჩინეს თავი და თავიანთ საზიზღარი საქციელით ჩირქს სცხებენ პატიოსან მუშებს. ამ ერთი თვის წინათ აქ ვიღაცეებმა შუადღეზე გაქურდეს მეაგურე თათარი და წაიღეს თუ კი რამ ებადა.

20 ენკენისთვეს კიდევ ვიღაცეებმა გამოიღეს კანტორის ფანჯრიდან მინა, შეძვრენ ბუხგალტერის კაბინეტში, გამოსჭრეს სტოლის უჯრა და გაიტაცეს 400 მანეთამდე მუშების დასარიგებლათ გამზადებული ფული.

ესიკაიშვილი.

## პარტიების ცხოვრებიდან

—

**უპარტიო სოც.-დემოკრატების რეზოლიუცია პლეხანოვის შესახებ.** ქ. კალუგიდან გაზ. „ტოვარ."-ს მისვლია შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩვენ, უპარტიო სოც.-დ.-ებმა განვიხილეთ პლეხანოვის ინციდენტი და გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: „რ. ს. დ. მ. პ—იის ცენტ. კ—მა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც საქვეყნოთ კიცხავს რუსეთის სოც. დემოკრატიის უძველეს ბელადს და თეორეტიკოსს გ. ვ. პლეხანოვს „ტოვარ."-ში მოთავსებულ წერილისათვის, რომელსაც ვითომ დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიის რაზმებში, რადგან ილაშქრებს (?) მის კომპეტენტიურ დაწესებულებათა დადგენილების წინააღმდეგ". ჩვენ ვერაფერს, დეზორგანიზაციას შემტანს ვერა ვხედავთ წერილში, პირიქით, მის მიერ კითხვის დაყენებას დღევანდელ ვითარების შესახებ სავსებით გონივრულათ ვცნობთ რეალურ პირობების მიხედვით; ცენტრალურ კომიტეტის მიერ პლეხანოვის საქვეყნოთ გაკიცხვა ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებელ, ვიწრო პარტიულ დამოკიდებულების შედეგათ; ყოველივე ამის გამო ჩვენ, უპარტიო სოც.-დემოკრატები ვაცხადებთ სრულ ჩვენს თანხმობას პლეხანოვის წერილთან, რომ „რუსეთის პროლეტარიატის პარტია არ დაივიწყებს თავის მოვალეობას. როგორიც უნდა იყოს მისი ელემენტები, ის ვერ გახდება და, რასაკვირველია, არც გახდება შავი რაზმის თანაშემწე რეაქციასთან ბრძოლაში; ამას გამო ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს. წერილს მოწერილი აქვს: „უპარტიო ს.-დ. ჯგუფი".

**სომხეთა სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიეზდი,** რომელიც მოკლე ხანში შესდგება, სხვათა შორის განიხილავს კითხვას შესახებ სომხეთა სოც.-დემოკრატიის შესვლისა რუს. ს.-დ. მ. პ. სომხეთა ს.-დ. პარტიაში შესვლის საფუძველი მიღებულია ლონდონის სიეზდის მიერ, რომელმაც ც. კ—ს მიანდო ამ საფუძვლის საბოლოოთ შემუშავება. სიეზდზე დაესწრება ცენტრალურ კომიტეტის წევრი, რომელიც საგანგებოთ გაიგზავნება ც. კ—ის მიერ. სომხეთა სოციალდემოკრატიაში ირიცხება 3000 წევრი.

**მენშევიკები პროფ. კავშირების შესახებ.** როგორც ვიცით, მოსკოვის ბოლშევიკებმა საჭიროთ აღიარეს დაარსდეს არალეგალური პროფ. კავშირები. ამის წინააღმდეგ ენერგიულათ გაილაშქრეს პეტერბურგის მენშევიკებმა. ამათ მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პროლეტარიატის მიერ პროფ. კავშირების ლეგალურ არსებობისათვის ბრძოლის უარყოფა ხელსაყრელი იქნება მხოლოდ რეაქციისათვის, დიდ ზარალს მოუტანს პროფესიონალურ მოძრაობას და შეასუსტებს პროლეტარიატის ბრძოლას კაპიტალთან. მენშევიკები წინადადებას აძლევენ პარტიის ყველა წევრებს თავგამოდებით შეებრძოლონ იმ გულგრილობას, რომელიც პროფ. კავშირებში სულ უფრო მატულობს, და მოიწოდონ ეს უკანასკნელები ყოველი ღონის ძიებით დაიცვან პროფ. ორგანიზაციების ფართო, მტკიცე და აშკარა ხასიათი, ლეგალური კავშირები უნდა დაცულ იქნას. იმ შემთხვევაში, როცა კავშირი დახურულ იქნება და მისი ხელმეორეთ ლეგალიზაცია შეუძლებელი გახდება, საჭიროა დაცულ იქნას ერთიანი უპარტიო და შეძლებისამებრ ცენტრალური ორგანიზაცია და გამოყენებულ იქნას ყოველგვარი საშუალება თუნდა ნახევრათ-ლეგალურ არსებობის დასაცველათ.

## რუსეთის ამბები

—

**დეპუტატ მღვდლის დატუსაღება.** 27 სექტემბერს ქალაქ ტომსკში დაუტუსაღებიათ მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი (სოც.-რევ.) მღვდელი ბრილიანტოვი.

**„არესტი".** ნიჟნი-ნოვგოროდში ოცი სახლი გაუჩხრეკიათ, აღმოუჩენიათ ორი არალეგალური სტამბა და აუარებელი არალეგალური ლიტერატურა. დაუტუსაღებიათ ოცი კაცი.

**„მოკავშირეთა" საქმენი.** ეკატერინოსლავში შავრაზმელთა გაზ. „პრავდა" ურჩევს თავის მკითხველებს აღძრან შუამდგომლობა პოგრომშჩიკების განთავისუფლების შესახებ, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას. შავრაზმელთა კიოსკში გამოფენილია ფურცელი, რომელშიაც სწერია: „მოკავშირენო, გახსოვდეთ 1471 სტატია, რომელიც ნებას გვაძლევს ყველა მოვკლათ თავის დაცვის დროს, და მაშინ აღარ იქნება აღარც ერთი რევოლიუციონერი —ჟიდი".

**სოფლათ.** 28 სექტ. ელისავეტგრადის მაზრის დაბა ბოგოპოლში მოხდა არეულობა. სტრაჟნიკები შემოერტყენ ბაზარს. ნაცემნაბეგვი და დასახიჩრებულთა რიცხვი 50-მდეა.

**„მოკავშირეთა" უარი სუბსიდიაზე.** მოკავშირეთა თავმჯდომარემ დუბროვინმა, მთავრობისაგან სუბსიდიის მიცემაზე ზედი-ზედ უარის მიღების გამო, შესწყვიტა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობანი". მოკავშირეთა გაზეთი მთავრობას რევოლიუციონურს უწოდებს. ახლა რუსის ხალხის მთავარმა საბჭომ გამოუშვა მოწოდება, რომლითაც მოკავშირეებს უკრძალავს ისარგებლონ მთავრობის სუბსიდიით (შემწეობით).

**პოლიციის დამხმარეთა დაჯილდოვება.** რადგან სულ უფრო ხშირდება ისეთი შემთხვევები, რომ მცხოვრებნი ნამდვილ და ხან კი თავგანწირულ დახმარებას უწევენ პოლიციას იმ პირებთან ბრძოლაში, რომლებიც ძარცვა-გლეჯას და მკვლელობას ვითომ რევოლიუციონური მიზნით ახდენენ, ამის გამო ამ ჟამათ გუბერნატორებს ნება მიცათ დასაჯილდოებლათ წარადგინონ ხოლმე ის პირნი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევენ პოლიციას.

## სასამართლოს ქრონიკა

### პოლიტიკური საქმე

28 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო საქმე პოლიტიკურ დამნაშავის სენაკის მაზრის სოფ. გორდის მცხოვრების სოციალდემ. იასონ ივანეს ძე ჩიხლაძის, რომელიც 1905 წ. 24 ნოემბრიდან ზის ციხეში. მას ბრალდებოდა სამეგრელოში ნაოლალევის გამომძიებელ ბაგრატ ედიგიანცისთვის ძალით თოფის წართმევა ხალხის თავდასხმის დროს. ბრალდებულმა ჩიხლაძემ განაცხადა, რომ მე მისთვის ძალით თოფი არ წამირთმევია. მე, როგორც სოც.-დემოკრატი ყოველივე ძალმომრეობის წინააღმდეგი ვარ. მე მხოლოდ ვთხოვე პრისტავ დ. კლდიაშვილს, რომ ედიგიანცს თავის ნებით მოეცა თოფი და მისმა დედამ მართლაც გადმოგვცა იგი ფანჯრიდანო ასე რომ, მე არავითარი ძალა არ მიხმარია ედიგიანცზეო.

ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ანტონ ს. გელეზაროვი, რომელმაც იგივე პირი ამას წინეთ მეორე ამგვარივე საქმეშიც დაიცვა და გაამართლეს იმავე პირს მესამე საქმეც აქვს სასამართლოში პრიპცესა მიურატის და თ-დ მინგრელსკისთვის იარაღის წართმევის შესახებ.

✦ 3 სექტემბერს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ დაასრულა საქმე ვლ. ინასარიძისა, რომელსაც ბრალს სდებდენ ა. შაფრანოვის მაღაზიაზე დაცემაში; სასამართლომ ინასარიძეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, როგორც გადმოგვცეს, ინასარიძეს განუსაჩივრებია უმაღლეს დაწესებულებაში ეს დადგენილება.

— 15 სექტემბერს თფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველათ საქმე 30 კაცის, რომელთაც ბრალდებათ დეკემბრის დიდ გაფიცვაში მონაწილეობის მიღება, მოწმეთ გამოწვეულია პროკურორის მხრით 67 კაცი. შინაარსს ბრალდებისას შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს. ბრალდებულს დაიცავენ მოსკოვის გამოჩენილი ვექილი მურავიოვი, თფილისიდან კლანკი, დოლუხანოვი, ბარათაშვილი, ჯაფარიძე და იონისიანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ვინმე „იმედი" თქვენს გაზეთში (№ 6) აცხადებს, ვითომ „ხალხის მიერ არჩეული" ნიქორწმიდის მასწავლებელი სამოსწავლო საბჭოს არ მიეღოს და მის მაგიერ ჩემის წყალობით და პოლიციის დახმარებით დაგვენიშნოს უმეცარი დ. ს—ძე, რომელმაც ხალხს სკოლის გადასახადი დააწერა წელიწადში ორ-ორი მანეთი თითო მოწაფეზე და ძალად გვახდევინებსო.

ყოველივე ეს სინამდვილეს მოკლებული გახლავთ: ერთი რომ ნიქორწმიდის მასწავლებელი დავით ყუბლაშვილი, ჩემგან არ არის დანიშნული—ის უკვე ოცი წელიწადია განუწყვეტლად ნიქორწმიდაში მასწავლებლობს. მეორედ, მასწავლებელთ ნიშნავს სამოსწავლო საბჭო და არა მეთვალყურე (ე. ი. მე) მესამედ საზოგადოთ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა (და არც, ვგონებ, იქნეს), რომ ხალხისგან არჩეული და წარმოდგენილი მასწავლებელი მე ან სამოსწავლო საბჭოს დაგვეწუნებინოს.

მარტო იმაშია მართალი კორესპოდენტი, რომ სამრევლო სკოლის მასწავლებელნი სწავლის ფულს ახდევინებენ მოწაფეებს თვეში აბაზამდი, რადგან მათ მეტად მცირე „პოსობიე" ეძლევა ხაზინიდან (10—15 მან. თვეში) და მთავრობაც ავალებს სოფლებს „პოსობიეს" ტოლი ფული საკუთარ ჯიბიდან დააყაროს სკოლის სასარგებლოდ. უამისოდ სამოსწავლო საბჭოს უფლება არა აქვს „პასობიე" დაუნიშნოს სკოლას.

ნეტავ, რა აწუხებს კორესპოდენტს: თუ მასწავლებელი არ უვარგათ, შეუდგინონ პრიგოვორი, გვიჩვენონ უკეთესი, უფრო მუყაითი, ნასწავლი და ბეჯითი—და ვნახოთ, თუ საბჭო უარყოფს „ხალხის მიერ არჩეულს" უფრო დირსეულს კანდიდატს, ოღონდ „პრიგოვორი" საბუთიანი იქნეს.

თ. ჟორდანია.

## დეპეშები

(პეტერბურგის ტელ. სააგ.)

3 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** სავაჭრო მინისტრის ამხანაგი შტოფი ავათმყოფობის გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

— სამხედრო-საოლქო სასამართლომ სამხედრო მინისტრ რედიგერზე თავდასხმის საქმის გამო 7 კაცს გადაუწყვიტა კატორღა სხვადასხვა ვადით 6—15 წლამდე.

**ოდესა.** პოლიციელების რაზმი ობლავის დროს ბოლგარის ქუჩაზე, გადაეყარა ახალგაზრდა კაცებისაგან შემდგარ საეჭვო ბრბოს. პოლიციელებმა უბრძანეს გაჩერებულიყვენ, მაგრამ უცნობნი გაიქცენ, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციელები დაემუქრენ მათ გესვრითო. ცხენოსან სტრაჟნიკებმა ზალპი მისცეს, რომლითაც მოკლულ იქნა ებრაელი გლიკმანი. დაიჭირეს 11 კაცი.

**კალიში.** სახაზინო დუქნის გაძარცვის დროს მოკლეს ერთი და ერთიც დაიჭირეს.

**ვლადივოსტოკი.** სახალინიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ აღმოუჩენიათ ახალი ნავთის მადნები და უშველებელი ნავთის ტბა 12 ვერსის მანძილზე კაბილსკის სრუტედან, სადაც დიდრონი გემები შემოდიან.

**სარატოვი.** სერდობსკის მაზრაში მოკლეს კალაჩოვი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს ავაზაკობაში.

**კელცი.** სოფელ ობლენგორში გლეხების ბრბომ მოკლა ჯოხებით თავიანთი სოფლელი —ცნობილი ქურდი.

**ბლაგოვეშჩენსკი.** 1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ხუთი კაცი თავს დაესხა ვიცე-გუბერნატორს დასკინს. ჩაარტყეს ხანჯალი თუ არა, ვიცე-გუბერნატორმა მოასწრო რევოლვერის ამოღება, რის გამოც მხოლოდ მარჯვენა ხელში დასჭრეს. მეეტლე დაიჭრა თავში ქვით. ჭრილობა არ არის საშიში. ორი დაიჭირეს.

**მოგილევი.** 1 ოქტომბერს, საღამოს სოფლის მღვდლის სახლში ფანჯარაში მოკლეს ურიადნიკი.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა—წარუდგინოს განათლების მინისტრს, რომ ის საჭიროთ ცნობს დატოვოს უნივერსიტეტის განკარგულებაში „მოსკოვსკია ვედომოსტის" გამოცემა შენობით და სტამბით; უკიდურეს შემთხვევაში გაზეთი არ უნდა ატარებდეს უნივერსიტეტის სახელს და მის ბეჭედს.

**ქუთაისი.** დაიჭირეს მასწავლებელი სტეფანოვი, რომელიც გაიქცა 26 სექტემბერს ციხიდან და, რომელიც მონაწილეობს იღების და უვირილის ხაზინის გაძარცვაში.

### ხ ო ლ ე რ ა

**ომსკი.** ხოლერით ავათ გახდა 5, მოკვდა 2. მაზრებში ავათ გახდა ერთი.

**კიევი.** ავათ შეიქნა 87, მოკვდა 6.

**პოლტავა.** ორს ისევ აღმოაჩნდა ხოლერის ნიშნები.

**ეკატერინოსლავი.** მარიუპოლში ავათ შეიქნა 2, ეკატერინოსლავში 2, მოკვდა 1.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ავათ შეიქნა 2.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში 1 ოქტომბერს ხოლერით ავათ შეიქნა 12, მოკვდა 5. ბარნაულში 30 სექტემბერს ავათ გახდა 1. ზმეინი-გოროდის მაზრაში—3, მოკვდა 1. ბალატნოში 29 სექტემბრიდან ავათ შეიქნა 13, მოკვდა 3. 1 ოქტომბერს აქ მოსულ გემზე ავათ გახდა და მოკვდა 1.

**ჩერნიგოვი.** ოსტერის მაზრაში ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავათმყოფობისა. ერთი იმათგანი მოკვდა.

### უ ც ხ ო ე თ ი

**პარიზი.** დაიჭირეს ექვსი იმათგანი, რომლებმაც ამას წინათ ხელი მოაწერეს მილიტარიზმის წინააღმდეგ მოწოდებას, რომელიც ურჩევდა ახლათ გაწვეულებს სამსახურიდან გაქცევას. დანარჩენ 9 კაცს ისევ დაეძებენ.

**ნიუ-იორკი.** წამლის ქარხანაში, ფონტანეტაში ინდიანისშტატში, მოხდა აფეთქება, რის გამოც მოკლულ იქნა 3, სასიკვდილოთ დაიჭრა 40-მდე, მსუბუქათ 600, 1200-მდე კაცი ცის ქვეშ დარჩა. კატასტროფის ნახევარ მილის მანძილზე დაინგრა სკოლის შენობა, 50 მოსწავლე დაშავდა, რამოდენიმე მოსამსახურე ქარხნებისა ცეცხლში დაიღუპნენ.

**ლონდონი.** უკანასკნელ ცნობებით, მატარებლის დამტვრევის დროს, შლიუსბერის მახლობლათ, მოკვდა 20-მდე.

**თავრიზი.** უჩნიის ოლქიდან იუწყებიან, ოსმალოებმა დაიკავეს უშნუ, დილმანით. როგორც ჩანს მათ გადაუწყვეტიათ მთელი ზამთარი აქ დარჩენ.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.